# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/245 " 23 " დეკემბერი 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

**თ. სიხარულიძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ**

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 დეკემბერის №1/221 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 43 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 41 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 2 მოსამართლის, მათ შორის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის - თეიმურაზ სიხარულიძის განაცხადი. თეიმურაზ სიხარულიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 21-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს, ადიგენის რაიონულ, ქუთაისის სააპელაციო და ფოთის საქალაქო სასამართლოებში. ამჟამად იგი უფლებამოსილებას გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ახორციელებს. მისი სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მას აქვს უნარი გააგრძელოს მუშაობა თბილისის საქალაქო სასამართლოს დატვირთვის პირობებში. ამასთან, თეიმურაზ სიხარულიძეს აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, თეიმურაზ სიხარულიძე გათავისუფლდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 28 დეკემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი